

# კ ვ ა ლ ა



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზბიანი ზაფათი. ზაგოდის ჟოკელ კვირა ღღს.

№ 46.

ნოემბერი 6, 1894 წ.

№ 46.

ზინდარსი: „კვალა“ ხელისმწერის განცხადება.—მარგავეის (ქვა-გუნდის) მწარმოებელი საეურადღებო ს. წერეთლისა.—საეურადღებო აზგები.—რისთვის (დერმონტოვ) დან, ლესი დუტე მგვრელისა.—ჭეშარიტების აღდგენა გ. წერეთლისა.—„ვერის“ საეურადღებო ს. დოლიძისა.—„ვერის“ და მინისტრის მოხაზება, მარკაძისა.—აკაცის, ლესი რუს-მგვრელისა.—მცირე შეზღვევა მანებისა.—პარტახი, ეტ. ხინოშვილისა.—ოსმალეთის მთავრობისგან სომხის ეროვნული კონსტიტუციის დამტკიცება ტერადგეთიანისა.—განცხადება.

## „კვალზე“ ხელის მოწერა

განიგროძობა ამ წლის 1894-სა და ამასთანავე ახლავე იწყება მომავლის 1895 წლის ხელის მოწერაც.

„კვალზე“ ხელის მოწერა იწყება ამ წლის პირველი ნოემბრიდან 1-ლ იანვრამდის 1895 წლისა.

ეს ყუანახუნელი ორი თვის ხელის მოწერა ცალკე ეღირება ორმოწინეთით.

ამ ორი თვის განმავლობაში ექნება ხუვის გახეთმი დასტამბული ცინკოგრაფიული ნახატები, დუთივ განსუენებული საკესანდრე შესაძის ავთიმეოფის შესხებები; აგრეთვე ექნებიან დასატულნი:

უაგუსტოგის ხელმწიფის სახლობა, მთელი რუსეთის იმპერატორის ოჯახი, უმაღლესნი წარმომადგენლნი ევროპის სახელმწიფოებისა, ყველა მინისტრები, ელჩები პეტერბურლის სახელმწიფო კარზე, ეკიმები, ლეღლები, ლიგადის აგარაკი, ლითივ განსუენებულის ხელმწიფის კუბო, ცეცხლის გემი სახელათ „მერკურის სასაოგრატი“, „სამგლოვიარო მატარებელი“, მოსკოვი და პეტერბურგი სამგლოვიაროთ მორთული, კრემლის სასახლე, სასამთრო სასახლე, ანიკინის სასახლე, ტაძრები და ეკლესიები მთავარ-ანგელოზისა და პეტროპავლოვისა, გვირაკიანი, გასუენება და დასაფლავება.

მომავალი მთელი წლის „კვალი“ ღირს რამა მანეთი. ამ წლის პირველ ნოემბრიდან მომავალ წლის პირველ იანვრამდე ღირს ორი მანეთი

ხოლო ვისაც ამ წლის „კვალი“ არ გამოუწერია, არამედ მომავალი წლიდან ისუოგებს ხელის მოწერას იმ პირობით, რომ ამ წლის ორი თვის „კვალიც“ მიიღოს, საცა შემოხსენებული ნახატები ექნებიან დასტამბულნი, იმათ ვთხოვთ, გამოგზავნიონ ამ წლის ორი თვისა და მომავალი მთელი წლისა სულ ერთი თუხისი.

რედაქტ. გამოგუკუდა ან. თ.—წერეთლისა

# მარგანეის (ქვა-გუმდის) მწარმოებელთა საყურადღებოთ

(ქუის-გუის გამსახველ-შემსახველ ამხანაგობის მაგალითი)

**ფ**ოთის წლის არსებობა და—როგორც ანგარიშიდან დაინახავთ—არა უნაყოფო არსებობა ზევით დასახელებულ კუბ-გუმდის ამხანაგობის ერთელ კიდევ ნათლათ გეომეტრიკებს, რომ ჩვენებური დევიზი „ან შენ უნდა იყო ან მე“ არის კანონიერი მემკვიდრე ჩვენის ცრუ თავმოყვარეობისა და ხომ მოგვხსენებთ, რა ღირსებებითაც არის შემკობილი ცრუ თავმოყვარეობა ჯერ საზოგადოთ და მერე ჩვენებური განსაკუთრებით!.. დიად, ეს „ათი წელი“ გვეუბნება, რომ „ან შენ და ან მე“ კი არა, შენაც და მეც ადგილი გვეშაუება ამ ქვეყანაზე, მხოლოთ საქრთა ჩვენ ორთავემ იმდენათ შევიმუშავეთ ჩვენი ხასითი, რომ ერთმანეთს მოვეხმაროთ და არა ვერთოთ... ხასიათის შემუშავებას კიდევ კარ ღწო უნდა და—ჩვენდა სამწუხაროთ—ერთობ დღად დწო, იმას ვერ იცხობს ვერც რომელიმე, თუნდ მაღალი სასწავლებლის დასრულებების დიპლომი, ვერც უმკვერმეტყველესი მქადაგებლის მხილება... ხასიათს აშუშავებს, წერტისს, ცხოვრება და მარტო ცხოვრება, რომელიც სასწავლებლის ვინდ მქადაგებლის გველენას ისე შეიცავს, როგორც ზღვა ერთ წვეთ წყალს სხვა უთვალავთა შორის...

ეს „წინასიტყვაობა“ და მთლათ ეს შენიშვნა გამოიწვია იმ ვარშობებამ, რომ—რაც ვი-ვაგლახი ათი წლის წინეთ ჩვენს ამხანაგობას აუტტება ჩვენმა ცრუ თავმოყვარეობამ და საერთო მოქმედებისთვის ხასიათ შეუქუშმავებლობამ,—იგი ნაკლი ჩვენის ხასიათისა დღესაც იმაზე და უარესსაც უშვება დღევანდელ გამოწყებულ ჩვენს საერთო საქმეში: ამხანაგობებს, გაზმობებს, წყლის საქმეს და სხვა-და-სხვა, როგორც იგივე დევიზი — „ან შენ და ან მე“ მეუბნის, დამგლასაც კარგი არა: დღეს არ დაუყრია ჩვენთვის და ვიცით, არც დაგვაყრის, მაგრამ ეს „სოდან“ ჩვენს ხასიათს ვერ იმორჩილებს?

„ან შენ და ან მე“, ეუბნებოდა ათის წლის წინეთ კუბ-გუმდის ამხანაგობას მისი უჯრის თანამამ, მახლობელი, გონა-ჯიბის ამხანაგობა... ჩვენ მოვასხენეთ: შენც ბრძანდებოდე, ჩვენც ვიცოთ, ვეღვანი დავტყვევით ორ დღეს ამ უბადრულ ქვეყანაზე, თუ ერთმანეთს არას დავემყვებობთ-ოქე. უფროსმა ამხანაგობამ არ დაიჯერა და საჩივრო გავეგზავნა პეტერბურგში, რომ ახალი ამხანაგობა იქვე

გაეყინა ჩრდილოეთის ყინვებს და იქ უფროს მას უმცროსი არ გაჩნდოდა. გაიპართა ამაზე მიწერ-მოწერა პეტერბურგსა და ქუთაისს შუა, რომლის შედეგი ის იყო, რომ უმცროს ამხანაგობასაც ნება ებოძა ჩვენი ქვეყნის ღრუბლის დანახვისა. დღეს, როცა ამ უმცროსმა ამხანაგობამ ისე მოიღვა ფეხი და გლოინიერა, რომ უფროსისთვის არა დაუტკობა რა, პირიქით შეძინა მხნეობა, შემბატა სასიკცხლო ძარღვის ცემა,—ახლა წითლდება სირცხვილით ამ ამხანაგობის წინანდელი მეტოქე, როცა გაახსენებენ ასე შემთხვევით—მამინდელ მისს საქციელს!.. განა რომ ქუის სასწავლებელი არ არის მისთვის და ჩვენთვისაც ეს ვარშობება?

რით განსხვავდება მამინდლისაგან ახლანდელი მიწერ-მოწერა ტუთისსა, ქუთაისსა და პეტერბურგს შუა ატტებით ხონის წყლის გამო \*). აქაც იგივე გაღმერთება საკუთარი „მე“-სი და უაყრფა სხვისი არსებობისა. იმის მაგვირათ რომ შეირიგონ და შეითვისონ მძა და მებზებელი, მოსმინონ მისი გასაჭირიც, ეს ჩვენი „გამარჯვებულები“ იმას ცდილობენ, რომ საკეთილოთ გამოცემული ბრძენი კანონი უტყლმართათ: „შეცუპონ! (თუ ახლანდელი კანონი შევიტრის სრული თითო-მმართველობა დღევანე საკუთარ საშინაო საქმეში და დაჩაგრულს, ამ კანონის ძალით დამჩაგრელების წინააღმდეგ მზა აშოვდება,—ეს ჩვენი ცრუ თავმოყვარეობით სწეულნი იმის ცდაში არიან, რომ ამ კანონს ეს ყოვლათ-მხსნელი ძალა, უკანასკნელი იმედი დაჩაგრულისა, ჩამოერთ-

\*) ხონის წყლის მონაწილე რვა სოფელთაგან სუთი თითო უფლას: 1) სელ-ახლათ მესწორბუელ იქნეს მონაწილთა სხუბი, რომლებსაც მონაწილთა ორი მესამედი ჩაუწერდლათ და 2) წყლის მძნა უფრო სასართლანთი იქნეს გაყოფილი ნაწილებად; ამიტომ რომ, თითო ნაწილი, ანუ გზწოთილგას თითო წარმომადგენელს იჩნეს „საპქოსთვის“ და დღესანდელი გაყოფილობით ორი სოფელი (სთავადგუმი მესამეც, თანდალი, ურკობი, მკრამ სქმითი ეს ესეკ ანუნიან) ორ წარმომადგენელს იჩნეს და სუთი-იქმის სოფელი კი მტო ეროს! რომ უმრავლესობამ ეს აღიარა და იჩნეს უში არ გუშრთა,—უჭირესობამ სასართლანთი შეთანხმების და დამთისის მკავრით, საუწყობასით ცნო (თუ დაუჭერეს) გაუქმობა უმდლსათ ბოასუელი ადგილობრბი თვითმართველობად, რომ წყლის მონაწილეთ ამ გვარ შეტტების დროს, ადმინისტრაციას მოქნილს „პტონობის სნას, არ, დისმის მტოტ-სეკში სურვილი „მამრავებუდა“ (2) უმტორესობას, რომლის თანამსუქადც არის მართოული სუთით მოსხენებული მსწერ-მარწერ.

თვის და თვით-მართებლობა გახდეს ყურ-მოჭრილ ყმათ ვარემე ზიანებისა?! სწული თა-მოყვარეობა, თავისი უხასიათობის გამო, ყოველი უბრალო გაჭირვების კი არა, შეფერხების ღრის „კიკინებს“ ივლეჯს და „ყარაულს“ უძახის!..

აი, კიდევ ასეთივე გულის დამტკობი მავალითი ჩენნი ხასიათის სიმტკიცისა საერთო მოქმედებისათვის, როგორც იყო, რამოდენათმე მიანც, შეუსწოვლად შევი ქვის მწარმოებელი დღიხნის ფოქი და იმათან რამდენიმე პირმა მოახერხა, შეედგინა ამხანაგობა (სინდიკატი), რომელმაც შეძლო და შედარებით კარგ ფასათ მიყიდა შევი ქვა სამი წლის ვადით ერთ-ერთ საზღვარ გარეთელ ბანკის წარმომადგენელს წელიწადში 4—10 მილიონ ფუთამდის. მართალია, ამხანაგობა ათიოდე პირთავან იყო შემდგარი, რომელთაც გახედეს და ისურვეს ამ თავითვე შეამსანაგება, მაგრამ მათ ნება ჰქონდათ თავიანთის პირობის ძალით ბანკის წარმომადგენელთან, რომ რამდენსაც ისურვებენ თითონ, იმდენი ამხანაგი მიეღოთ მადნის მწარმოებელთავან. ამ ნაირათ ამხანაგობას მოელოდა შემდეგისთვის თანდათან ზრდა და შემატება როგორც წევრთა რიცხვით, ისე ყოველ გვართ. ამხანაგობას, როგორც მარგანეცის მებჭარონეს, მიზნად ჰქონდა, რომ ეს მადანი აქ, ჩვენშივე, ძვირათ გაყიდულიყო და მეუქათთ არ გადაზიდულიყო ევროპაში. ამ გზას ამხანაგობა უკვე დაადგა და რამდენათმე მემამულეთავან იყიდა კიდევ ქვა თათქმის იმ ფასათ, როგორც მას ჰქონდა გაყიდული, თუმცა ამხანაგობას ვერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული პირობით მისაღები ფული ბანკის წარმომადგენელისაგან... ვინც გაეცნო ამხანაგობისაგან შეკრულ პირობებს, ყველას იმედი ჰქონდა, რომ ამხანაგობის საქმე ურიგათ არ წაივლიდა, უკეთუ, რასაკვირველია, მისი მოკეშირე ბანკი უფულობით არ უღალატებდა... არ უნდა დაეიფოყათ ის ვარე-

მობეც, რომ ამხანაგობამ თავის მმართველათ აირჩია სინდიკისერი, საქმის მკოდნე და რაც უფრო ძვირია ჩენში ხასიათიანი ერთ-ერთი ჩენნი ახალგაზდათავანი... მაგრამ სწორეთ იმ ღრის, როცა ამხანაგობას ხელი უნდა მიეყო მოქმედებისათვის, შურმა და მტრობამ ამართა უნამუსო ღროშა და მორთო ღალადი: ეს არის ვილუბებით, თუ არ შევერთოდ შევიქვის მწარმოებელი და აუ ვებრძოლეთ ახალ ამხანაგობასა... ამხანაგობამ\* მიუღო: თუ შევერთდებით, ძლიერ კარგი იქნება, ჩენ თითონ დაეგმვარებით, მხოლოთ იმ პირობით კი შევერთოდით, რომ მარგანეცის ფასი ასწიოთ და არა დამციროთა\*. ამ შემთხვევაში ჩენნი მიზანი ორივესი ერთი და იგივე იქნება და ჩენ ყოველის ღონისძიებით ქმამობას ვაგწევითა... მაგრამ უხასიათობა და ცრუ თავ-მოყვარეობა სხვისი რისი, თუ არა იმისი, რომ ასეთი რჩევები არ დააჯერა და საკეთალო ერთობა ეერმედლო?! მისი იარალი შინაურული ბრძოლა, თავისივე თავისმომძიებთან შეტაკებით, დასუსტებდა, რომ ვარემე ორთავეს ერთათ უფრო ადვილათ მოერიოს...

აი, შედგა ეს მეორე ამხანაგობა, რომლის მიზანი იქიდან გამოსქვირს, რომ მან ნახევარ ფასათ გაყიდა ევროპაში შევი ქვა, რასაკვირველია, პირველი ამხანაგობის დასამბობათ, რომელსაც სწორეთ ორ იმდენ ფასათ ჰქონდა ქვა გაყიდული!..

ღმერთმა ქანას, რომ კუხ-გუბის გამსესებელ-შემნახველ ამხანაგობის მოწინააღმდეგეთა სირცხვილის ოფელი სშირათ განქორტყდულიყოს ჩვენ ცხოვრებაში, რომ ათი კი არა, ორი წელიწადიც დიდათ საქვაო ყოვლიყოლს უხასიათო მოწინააღმდეგეთა ქულის სასწაულელათ... ასეთი მავალითები თუ განამტკიცებს ჩენს დასუსტებულს ხასიათს, თეარა სხვა ვერაფერი.

ნ. წერეთელი

საყურადღებო-ამბები



ვენს საზოგადოებას და მის წარმომადგენლებს ვერ კარგათ არ აქეთ შევანებული არც თავისი შოვალეობა, არც თავისი ინტერესი. არც ერთი და არც მეორე ვერ არავითარ ყურადღებას არ აქცევს იმ კანონიერს-ღონისძიებას, რომლითაც შეიძლება ბრძოლა ყოველთვის, როცა რაიმე დამრკოლებმა გადაეღობებან წინ. ერის სარგებლობას და მის ცხოვრების თავისებურ წარმატებას. ერთი უღირესი სა-

ქმე ჩენს ბედში მყოფ ხალხისთვის არის კერძო შკოლების თავისებურობის დაცვა. თვით სახელმწიფო კანონი მფარველობას უწევს ასეთს შკოლებს, მაგრამ ზოგჯერ მოხდება, რომ რომელიმე სამოსწავლო დაწესებულება მოინდომებს არა სასურველს ნიადგუხ დაეწინოს კერძო შკოლის ჩეულებრე მსეულეობა, აუ, აქ მართებთ ჩენს წარმომადგენლებს ხმა ამოიღონ და შესაფერი კანონ მდებლობის ძალით წინააღმდეგენ ასეთ არა სასიამოვნო მოვლენას; მაგრამ ჩენნი წარმომადგენელინი და მეთაურნი ყოველს ამისთანა შემთხვევეში იჩენენ სისუსტეს, უღო-

ნობას და არაფრით არ გასამართლებელს სიმუხთელს. ასე არ იქცევა შროლოთ ჩვენი ქალაქის თერთამეტობა. საჭიროა მივიღოთ მისი მაგალითი და ყოველთვის გავაუციებთ ვადენით თვალ-ყურის მის მოქმედებას. რასაც ჩვენი დედა ქალაქი გოიტანს ამ შემთხვევაში, ის სასარგებლო იქნება ყველა ჩვენი ქალაქებისთვის და ჩვენი საზოგადო დაწესებულებისთვისაც.

დიდი ხანი არ არის, რაც საერო სასწავლებელთა დირექტორმა განუცხადა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ რადან თქვენი საქალაქო შკოლები სახელმწიფო შკოლებთან ირცხებიან, ამისათვის მაც შკოლებში უნდა მიიღიდეს პირველ დაწყებითი სწავლება სამინისტრო შკოლების პროგრამისამებრო. ქალაქის გამგეობამ არ დაუთმო ასეთი მოთხოვნა საერო შკოლების დირექტორს და მიუთითა 1879 წლის გამოცემულს და მთავარ-მართებლის თანაშემწის მიერ დამტკიცებულს წესდებულებამზე. საბჭომ თავის მხრით გადაწყვიტა საჩივრის შეტანა ამ საგნის შესახებ კავკასიის ოლქის სამოსწავლო მმართველთან. შესაძლებელია, ამ საქმემ სენატამდე მიიღოს. საქმე, აი რაში მდგომარეობს: ქალაქის გამგეობას აქვს გამართული სახელოსნო შკოლა, საცა ყოველგვარ ხელობას ასწავლიან. თვით ამ შკოლაში სამი განყოფილება დაარსებული: ქართული, სომხური და რუსული. ქართველებს ქართულათ ასწავლიან ყოველ საგნებს, სომხებს სომხურათ და რუსებს რუსულათ. ხოლო რუსული ენა კი სა-ვადლებულია ყველა განყოფილებისათვის. სწავლა განყოფილებებში ჩინებულათ მიდის. იქ ნასწავლი ყმაწვილები ჩინებულათ განვითარებული არიან და ეს უმთავრესათ მიეწერება იმ გარემოებას, რომ ყმაწვილებს თვითონ სამშობლო ენაზე უხსნიან სა-მოსწავლო საგნებს. უფრო საყურადღებო ის არის, რომ აქ რუსულ ენასაც უფრო მალე და კარგათ თვისინებენ, ვიდრე სხვა სამინისტრო შკოლებში. ამ სახელოსნო შკოლაში შესასვლელათ წყლს ქალაქის საბჭომ განიზრახა სამი მოსამზადებელი შკოლის გახსნა: ერთი ქართულის, ერთი სომხის და ერთი რუსულის, რომ იქიდან კურს-დამთავრებულები პირდაპირ სა-ხელოსნო შკოლაში მიღებულ იქმნენ. საერო შკო-ლების დირექტორი წინააღუდა ამგვარი შკო-ლების გახსნას, თუმცა სახელმწიფო კანონიც და თვით მოსწავლეთა სარგებლობაც ამას მოითხოვს, რომ ამგვარი კერძო შკოლების არსებობა შეწყნა-რებულ იქნას. როგორ გადაწყდება დაეა ქალაქის გამგეობასა და საერო შკოლების დირექტორს შუა ჯერ არ ვინ იცის, მაგრამ ჩვენი საზოგადოებისა და ჩვენი ქვეყნისთვის კი ძალიან საინტერესო საქმეა ამ დავის ასე, თუ ისე გადაწყვეტა.


XX.

ოქტომბრის 31-ს, საღამოს 7 $\frac{1}{2}$ -სათზე მოხდა სათავად-აზნაურთა საგანგებო კრება ბანკის და-რბაზში. ეს კრება მეტათ საინტერესოა იყო ჩვენი საზოგადოებისათვის, რადგანაც დღათ მნიშვნელო-ვანი საგნები იყო დანიშნული განსახილველათ. იმის მიუხედავათ როგორც ყოველთვის, როცა კი არჩე-ვნები არ არი, საზოგადოება ძლიერ ნაკლებათ დე-სწრო ამ სხდომას. პირველი საგანი, რომელიც ვა-ნიხილა კრებამ, ვახლათ არწრუნისეულ ქარევა-ლის შემენა ბანკის მიერ. ჩვენი ვაჭრის მკითხვე-ლებს, უეჭველია, ესომებათ, რომ ეს საგანი მისში მომ-ხდარ საბანკო კრებამზე იყო, სხვათა შორის, წამოყ-ვებული გადასაწყვეტათ. ესომებათ ისიც, რასაკე-რეულია, რომ ამ საკითხავის შესახებ ორი აზრი იყო აღ-ნიშნული გამგეობის მიერ დაბეჭდილ მოხსენებამში. ერთის გამოხატეული იყო გამგეობის უმრავლესობა: ნამეტნავათ ესარჩილება ამ აზრს გამგეობის წევრი ბ-ნ თემჯღომარე, მეორე კი ვკუთუ-ნოდა უმცირესობას, რომელსაც თავის საკუ-თარი აზრი შეედგინა ამ საგანზე და ურჩედა კრე-ბას სხვა დაწესებულებას დაუსაკუთრეთ, რომ უფრო ჩვენდა სასარგებლოთ მოვიხმართოთ. მაგრამ მაშინ, როდესაც პარტიათა ბრძოლა უკიდურესათ გამოვი-და და ყველა საკითხავს პარტიული მხრივ უყუ-რებდენ, საუბედურათ ამ საქმესაც ასე შე-ხედეს. გამოჩნდენ იმისთანა პირნიც, რომელ-ნიც ოხუნჯობდენ ამ საკუთარ აზრის მეკო-ნე წევრზე. ამას გარდა იქამდე მიიყვანეს საქმე, რომ კრების „სამართლიანი“ თემჯღომარის საშუა-ლებით სრულიათ ჩააწუმეს გამგეობის აზრის მო-წინააღმდეგენი. ამგვარ „სამართლიანობას“ ის მო-ყვა შედეგათ, რომ საზოგადოებამ ერთხმათ, თით-ქმის უკამათათ, დააკანონა გამგეობის უმრავლესო-ბის სურვილი. მაგრამ, ვაი, რომ პირუთენელმა განგებამ სხვაფერი მხაჯა... სადაც ჯერ იყო, იქ გადაჭრილი უარი უთხრეს ბანკის წარმომადგენელს, თ. ავალი-შვილს. თუმცა ზოგიერთი ორშუათის კრე-ბამზე ცდილობდენ როგორმე ელვერი ეცა-ვლათ სამინისტროს განაჩენისთვის, მაგრამ ბრმა ავა-ლიშვილმა ცხარე კილათი, თითქოს რილითიც გულ-დამწვარმა, ენერგიულათ უპასუხა: თვითონ მე მქო-ნდა ლაპარაკი დეპარტამენტის დირექტორთან ბ-ნ შიშინთან და ამან გადაჭრით უარი მითხრა, ვერ დაგეთანხმებითო. თქვენი ბანკი საურთიერთო პა-სუხის ვებაზუა აშენებული და როგორ შეიძლება სათადარიგო თანხა სხვა-და-სხვა მამულის შექმნაზე



დახარჯვას, ასე რომ თუმცა ოფიციალურად უპირატესად ჯერ-ჯერობით არ მოგვეცლია, მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ სამინისტრო დღე უარზე არის და თხოვლობს კიდევ, რომ იანვრის პირველამდე უსათუოდ გავყიდოთ ეს მამული\* ამიტომ გირჩევთ დაეთანხმეთ აქ წაკითხულ ბან გუბერნიის მარშალის წინადადებას, ესე იგი თავდა-ზნაურობამ შეიძინოს ეს ძვირფასი მამული. ამ წინადადებაში დიკამათი გამიიწვია, ჩვენ სწორედ გითხრათ, კარგა ხანია არ გვიწახვას ასეთი გასტყველებული თავდა-ზნაურობა კრება. ეტყობა თვით სავანი მეტათ საყურადღებო იყო და ყველა ცდილობდა თავისი აზრი გაეტარებინა. თ. ალ. ჩოლოყაშვილიმა უპასუხა თ. ავლიშვილს, რომ ბანკს ვერა გზით ვერ მოთხოვს სამინისტრო მამულის გაყიდვას, რადგან უკვე ათი წელიწადია, რაც ჰქვია ბანკი მამულს. ორატორი ეთანხმება იმ აზრს, რომ ეს საკითხები ისევე განსაკუთრებულმა საბანკო კრებამ გადაწყვიტოსო. თ. ილია ჭავჭავაძე და თ. ავლიშვილი წინააღმდეგნი არიან ალ. ჩოლოყაშვილის აზრისა და ამტკიცებენ, რომ ქარვასლა არ იყო სრული საკუთრება ბანკისა, რადგანაც, როგორც წესდება, ისე სამინისტრომუდამ გვაგონებს მალე გაყიდეთ ეს მამულიო. თ. ივანე მაჩაბელიმა თქვა, სხვათა შორის, რომ ეს კრება ვერაფერს გადაწყვეტს ამის შესახებ, რადგანაც გამოცხადებულიც კი არ იყო ამ

ქმე ის არა, პრინციპიალურად თანაუგრძობობთ თუ არა? ამ აზრს თ. ი. ჭავჭავაძე შემდეგშია კომენტარად იმეორებდა. თ. ი. მაჩაბელიმა თქვა, რომ იმისი აზრით ოქმში წაწერილი თავდა-ზნაურობის სურვილი საქმის გადაწყვეტას მოასწავებს და ეს კი სასურველი არ არისო. ბ. ანტონ ფურცელაძემ ურჩია საზოგადოებას, მიენდოთ გამოცხადებულს „სუბიექტურად“ გადაწყვიტოს ეს საკითხებიო, მაგრამ ამის წინააღმდეგ ბევრი აღმოჩნდა კრებაზე. დილანს გაგმელდა კამათობა. საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო. ერთი მხარე, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძე, მტკიცედ იდგა იმ აზრზე, რომ თავდა-ზნაურობამ შეიძინოს ქარვასლა, და არწმუნებდა დამსწრეთ, რომ ღღევანდელ კრების საგანს შეადგენს გადაწყვეტა: სასურველია თუარა თავდა-ზნაურობამ იყიდოს ეს მამული? მეორე მხარე კი ურჩევდა საზოგადოებას, ამ საქმის დაწერილებითი განხილვა კომისიისათვის ვარდეთ. ხანგრძლივ დავას შემდეგ როგორც იყო, მორიგად ორივე მხარე.— აირჩიეს კომისიაში: თ. ზაქარია ჭავჭავაძე, თ. ივ. ამილახვარი, თ. ივ. ჭავჭავაძე, ბ. ივ. რატიშვილი, თ. გ. ანდრონიკაშვილი, ბ. ივ. წინამძღვრიშვილი თ. ვლ. ვაჩნაძე, ბ. ალ. სავანელი, თ. მიხ. მაჩაბელი და ბ. იოსებ მგალობლიშვილი. ამ კომისიას მიენდო დაწერილებითი განხილვა იმ კომისიის, თუ რაედენათ სასარგებლოა თავდა-ზნაურობისათვის ქარვასლის შექმნა და საზოგადოათ საშუალებათა გამოძებნა ამ მამულის შესანებათ. სხდომის ბოლოს ჩამოვადეს ლაპარაკი ბ. მინისტრის წინადადებაზე წარმომადგენლების წესის შემოღების შესახებ. უსრულდებათ ზოგიერთებს „ნატურა დიდი ხნის!“ ეწირვებდა ისეთაც შემოფარგლული ჩვენი [საზოგადოების უფლებათა წრე! კრებამ გადაწყვიტა მიენდოს იმავე კომისიას კითხვის გამოკვლევა და პროექტის შემუშავება იმის მიხედვით, თუ რაედენათ დაკუთვნილი უნდა იქნა



იმპერატორი ნიკოლოზ II ჭავჭავაძე.

საგანის განხილვა. ამიტომ მე ვეთანხმებო ბ. მიხეილ მაჩაბლის და თ. ბებუთაშვილის აზრს. აირჩიეთ კომისია, რომ სხვა-და-სხვა აზრები როგორცნათ გარკვეული იქმნას. ბევრი, მაგალითათ, იმ აზრისა იყო. რომ შკოლას დაუსაკუთრონ და თვით ეს აზრი ხომ პატივ სკადებიაო. ილია ჭავჭავაძემ უპასუხა, \*ეს კრება კანონიერია, რადგანაც დღეს უნდა განგვიხილა სამეურნეო სკოლის საქმე და სკოლის დაარსებისათვის ხომ საჭიროა საშუალებათაგანია ქარვასლის შექმნაო. მე იმ აზრისა ვარ, რომ აქ მყოფმა საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა თავდა-ზნაურობას შეიძინოს ეს მამული. სა-

თხვისა, თუ რაედენათ სასარგებლოა თავდა-ზნაურობისათვის ქარვასლის შექმნა და საზოგადოათ საშუალებათა გამოძებნა ამ მამულის შესანებათ. სხდომის ბოლოს ჩამოვადეს ლაპარაკი ბ. მინისტრის წინადადებაზე წარმომადგენლების წესის შემოღების შესახებ. უსრულდებათ ზოგიერთებს „ნატურა დიდი ხნის!“ ეწირვებდა ისეთაც შემოფარგლული ჩვენი [საზოგადოების უფლებათა წრე! კრებამ გადაწყვიტა მიენდოს იმავე კომისიას კითხვის გამოკვლევა და პროექტის შემუშავება იმის მიხედვით, თუ რაედენათ დაკუთვნილი უნდა იქნა

ეს სათავადანაპურო ინტერესი. ორივე შემუშავებული მოხსენება უნდა წარუდგეს საგანგებო კრებას, რომელიც ორ კვირას შემდეგ მოხდება.

გულ-ბატონი

\* \*

ჩვენ მივიღეთ ჩინებული დედანი ქართული მონოგრაფიების გამოცემული ტატიშვილის მიერ. ამ დედანში ყოველი სახელისა და გვარის ჩართული ასოებისა გამოყვანილი. თითო ჩართული ანბანი არის ლამაზა. ვისურვებთ იმის გავრცელებას ჩვენს ქართულ საზოგადოებაში. ფასი თითო დედნისა 1 მანეთია.

\* \*

პეტროვსკი. ეს ქალაქი მდებარეობს დაღისტნის ოლქში კასპიის ზღვის პარზე; შეერთებულია რკინის გზით ვლადიკავკაზთან, აქვს ნავთ-სადგური, სადაც შემოდინან ასტრახან-ბაქოსკენ და კასპიის ზღვას იქით მოსიარულე ვაჭრები.

პეტროვსკში ცხოვრებს მომეტებულ ნაწილათ რუსი, ლეკი და სომეხი. ქართველობა აქ ძალიან ცოტაა და ისიც ისე არიან ერთმანეთზე დაშორებულნი, რომ ერთმა ქართველმა არ იცის, მეორე არის თუ არა, რუსებსა და სომეხებს თავთავისი საკუთარი ეკლესია აქეთ, სადაც შეუძლიათ თავი მოიყარონ და დატყვენ სულიერათ.

პეტროვსკს მალა გორიდან ვაძმოყურებს ახლათ დასახლებული ისპარაიტელნი როტა, სადაც ორასამდე პატიმარია დამწყვედული ზნეობის გასასწორებლათ. ამათში მომეტებული ნაწილი რუსია, შემდეგ ლეკი და ორმოციოდე ქართველიც. საქართველოს სხვა-დასხვა კუთხეებიდან. ამ საპატიმროს მოხელეებს შეადგენს უფროსი, ზედამხედველი და მისი თანაშემწეები. პატიმართათვის გაუკეთებიათ ვალანის ბურჯზე შენეიერი პატარა ეკლესია, რომელიც ჯერ უკურთხებელია და მარტო ჭმინობა სრულდება შიგ მათთვის. ეკლესიას მალე აკურთხებენ და წირვა ლოცვა რუსულათ იქნება. აქ ვაძმოყვანილია პრაიმბიდან მღვდელი შინავაძე, რომელიც მოვალეა უმთავრესათ უქადაგოს პატიმართ ზნეობრივათ და სულიერათ. მამა შინავაძეს მიუშარათეს რუსეთის სხვა-სხვა გამოცემლისათვის და მონასტრებისათვის, გამოეკზავნათ პატიმართათვის პატარა წიგნაკები და იქიდან მოსვლია დიდი ყუთებით ჩმდნი წიგნები, რომ პატიმარნი, მკონი, ორ-სამ წელიწადსაც ვერ ვადიკობავენ. მამა შინავაძეს არ დავიწყნია ქართველობაც. მიუშართავს

მწყემსის რედაქტორ მამა ღამბაშიძისათვის, რომელსაც, ამისთვის გამოუკზავნია ყველა თავის გამოცემანი. დიდიმალბობის ღირსია მამა ღამბაშიძე ამისთანა გულ-უხეობისათვის, მაგრამ რა გამოვიდა? ბუნებით მიკერსტო ქართველებს ერთ ლექსით ვაძლულავეთ მამა ღ. ღამბაშიძის მიწედილი სულიერი საზრდა და მშვიერი ყვავებიეთ შესხავიან მამა შინავაძეს, მოიტა კიდევ. ერთ მიკერსტლს ქართველს მართებულათ უსაყვედურებია მამა შინავაძისათვის, თუ გემა ვაგვადებინე წიგნისა, ერთი მაღლიანთ მაინც წაგვაკითხეო. შე დალოცილო, რა იყო ის ორიოდე წიგნიო? რუსებს ჰქონდა გამოუყურე, ჩვენ თქვენი ნაბიჭვრები ხომ არ ვიყავითო? რა ქნას ამისთანა ვარემებმაში ჩავარდნილმა მღაბია ხალხისთვის მოღვაწემ? კუშპაჩიკათ დრო არის, ყურები დაეკვიტათ, დროა სახალხო წიგნების გამოცემას მიეყოთ ხელი, თორემ ელუპებით.

მამა შინავაძე უხსნის ქართველებს ცალკე საღმთო წერილს. ხანდახან გრძობაზე მოსულნი პატიმარნი ეტყვიან თურმე მოძღვარს: ახ, მოძღვარო, სად ვიყავ? ეს ოხერი წინათ არ ეციოდი ეგებები, თორემ მე აქ რა მინდოდა?..

იმედია, მამა შინავაძე შეავსებს წიგნების უქონლობის ნაკლს, არ მოაკლებს პატიმართ წრთენაწევებს და დაუბრუნებს თავის სამშობლოს ზნეობით სავსე შეიღებს. არ იქნება ურაგო, რომ მამა შინავაძემ მიიპყრას ყურადღება პეტროვსკში მცხოვრებ ქართველებისა, დაუკავშაროს იგი ერთმანეთს და თავის თავს. იმედი გვაქვს, ეს ასეც მოხდება.

ჩემი თვალით ვინახულე საცოდავი პატიმარნი. ისინი სხედან ყაფაზში დამწყვედულნი. დიდი კარიდორიდან შეიძლება მარჯვნივ და მარცხნივ დათვალიერათ იმათი ოთახები. თავიანთი სახელსწარმები აქეთ გამართული. ხელისნები თეთიონ პატიმარნი არიან. აქ არიან ღურგლები, ოკრომქედლები, თერძები, ხატავენ შუშაზე და ამ შუშიდან აკეთებენ შევნიერ ყუთებს. სამწუხარო ის არის, რომ ამ სახელსწარმაში ეერც ერთი ქართველი ვერ ენახე.

მიმინდვია საზოგადოებისათვის, ყურადღება მიპროს საქართველოს მოშორებულ ქართველებს ზნეობის გასასწორებლათ, მიაწოდოს მათ თავისი წელიწადი და მით მონაწილეობა მიიღოს პატიმართ ზნეობის გასწორებაში.

# რ ი ს თ ე ი ს

( ლერძოან ტოვიანს ).



მისთვის ეწუხებარ, რომ მიყვარხარ და მყვდება გული, რომ სიყმაწვილე შენი ახლათ აუყვებელი მუროთ აღდგებულ ქარის ღვენას ვერ გადარჩება: ყოველ ბედნიერ წუთის ნაცულათ შენ ვადავხდება ტანჯვა, წვალება, ცრემლი ცხარე, ნაღველი ქრული, მე მისთვის ეწუხებარ... რომ შენ ავრე ხარ მზიარული.

ღმრთე შეგწოდ

## ქეშმარიტების აღდგენა

ღონაზილიანს

ავრცელე ჭიორი, ავრცელე, ცილით ავსე ჭაერი, იქნება ვინმე მოწამლა და შეუცვალა ეფიყერი.   
 სომაძრე



ატონი სიმონიძე თვითონ მარტო თავის ღირსეული სიმონიძის სახელით აღარ დავკმაყოფილებულა, რომ ათასნაირი ჭიორი და ცილისწამება მოახვიოს თავზე გ. წერეთელს, რომელმაც ვაბედა და წარმოთქვა, რომ სიმონიძესქართული გრამატიკის ისე არა გავგებდა რა, როგორც ჩვენს მეცნებარე ზუროთ-მოძღვრებისა. ახლა ჩვენი „გოჯასპირისთვის“ კაბა მოუტაცუნა და „ივანიკასთვის“ მესტები, მათი შერეული ტანსაცმელი ჩაუცემს და გამომდგარა სალანძღვათ, ვითომ ჭრათა? — რადგანაც ქევაგორიხის სროლა მომიხდნება და წუშევეში ხელის რევა, რომ გიორგი წერეთელს ღირსეულათ გავუმკლავდევო, არ მინდა ჩემი პალტო-კალო-შემი იმავე ლექსში ამოხსრული დამჩრხისა. სამწუხაროა, რომ იმან არამც თუ თავისი სახე და ტანსაცმელი გაითუბნა ასეთი სამზადისით, არამედ „ივერიის“ № 131 საფელეტონო ფურცლებიც ვასვარა. რათ კადრულობს ბ-ნი სიმონიძე ასეთს შეუუყვებელს ყოფა-ქცევას? იმიტომ რომ იუბიტერი სიმახროლის მხილვებას ვაუბრაზებდა და აპირებს მთელი ოლიმპიის ადგილ-ნაღვამის დანგრევას, რადგან მას იქ აღარ ედგომება. ჩვენ, რასაკვირველია ყოველსავე ამას სიამოვნებით მიუტყვებთ, „რამეთუ არა იციან რასა იქმიან“.

გოჯასპირისა და ივანიკას კაბა-მესტებით მორთულს სიმონიძეს ვაბრაზების გამო ერთი პაწია სიკრუე შეზარია და მოვითარეთ ნებას მის „იგობსლობის“ \*) წინაშე ეს შევტომა ვაუფსწორათ: „სასოფლო ვაზეთი“ პირველათ გამოვიდა 1868 წელს, რომელშიაც, სხვათა შორის, იბეჭდებოდა სამეურნეო, საზუნებისმცენიერო და სამეურნალო სტატეები. ამ ვაზეთმა მიიქცა „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების“ ყურადღება და რადგან თვით მას არ ჰქონდა საკუთარი ვაზეთი ქართულ ენაზე, „სასოფლო ვაზეთის“ რედაქციას მოკა ასეთი წინადადება: სანამდის ჩვენ საკუთარ ქართულ სამეურნეო ვაზეთს გაეჩინდეთ, ეთხოვთ „სასოფლო ვაზეთის“ რედაქციას, მისი ვაზეთი, რომლის ფასიც წლიური გამოცემა ოთხი მანეთია, არ მანეთათ დავეიძომოს და გეგვზავნოს 450 ეკვემპლ. ამა ვაზეთისაო სოფლებში ვასაერცვლებლათ. თვითონ ამ ვაზეთს კერძო ხელის მომწერი ჰყავდა მაშინ ათას ორასი და ოთხას ორმოც-და-ათი ეკვემპლიარი, „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების“ მიერ დაბარებულიც, რომ ზედ დაუერთოთ, შედგებოდა ათას-ექვსას ორმოც-და-ათი ეკვემპლიარი. ამდენი ხელის მომწერი, ვგანებ, ახლა არც ერთ ქართულ ვაზეთს არა ჰყავს. „კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას“ თითო ეკვ. ამ ვაზეთისა უჯდებოდა ნახევარ ფასათ, ვიდრე თვით რედაქციას უფირდა \*\*). აი, ამას ეძახის ბ-ნი სიმონიძე „სუბსიდას“.

თვითონ სიმონიძემაც კარგათ იცის, რომ აქ „სუბსიდიის“ სახელი უალაგოა და მხოლოთ იწინაუციისა და ცილისწამების ნიშნათ არის გამოთქმული. ეს რომ ასეა, თვით ბ-ნი სიმონიძეც მოწმობს შემდეგი სიტყვებით (იხილე „ივერია“ № 131): „ყოველს თქვენს გორიხს პასუხს ვაცემთ ჭჭითა და ტაღითა (უნდა ეთქვა ტალახითა)“. ამაზე სხვა რა გვეთქმის, თუ არა ესა: ვისაც ჰსურს ლექსა და ტალახში ამოხსრა, დე ამოიხაროს, მაგრამ მისგან ვამონასროლი ტალახანი „შხეფები ჩვენამდის ვერ მოაწვეს.

ბ. წერეთელი

\*) იუბიტერის ქართულათ „იუბისია“ ეწოდება; სილო იუბიტერის აღმასრუელს „იუბისკლი“.

წინაშეა ახო-აწყოობასა

\*\*\*) იხილე „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების“ საქმეები 1868 და 1869 წლებსა.



სადის უმცლესით დანამქულა სუღოწიგის იმერტორის.




სუღოწი იმერტორი ნიგოლაზ შიოტუ.





ფოთის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორი გ. ს. ბაქრაძე.



ქვემო ქართლის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორი მ. ს. ბაქრაძე.



„ივერიის“ რედაქციის საყურადღებო.



აღსურებდა განჯაში მოხელე ქართველთა შორის რამდენჯერმე ხელისმოწერა გაემართათეს საქველ-მოქმედო აზრით და მუდამ აქაური ქართველობა დიდა თანაგრძნობით შეხედდრიდა და შეძლებისამებრ შემწეობაც აღმოუჩინა. გათამამებული ამ წინა მაგალითებით ამ დღეებშაუკ გაემართეთ ხელისმოწერა ქუთაისის თეატრის ფონდის სასარგებლოთ, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირება, რომ თანაგრძნობის მაგიერ შემდეგი სიტყვებით მოამართეს ზოგიერთებმა: აკროვებ ფულს, გზავნი კი დანიშნულებისამებრ მოსახმარებლოთ, მაგრამ, ვინ იცის, ის ფული მართლა დანიშნულები სამებრ მოამარდება თუ არა? აი, მაგალითათ განსვენებული ალექსანდრე ყაზბეგის დასაფლავების დროს რომ სამი თუმანი მოაკროვე და გავზავნე „ივერიის“ რედაქციაში, რათა გვირგვინით შევცქრა განსვენებული ალექსანდრეს კუბო და რაც ვაზეთმა კიდევაც გამოაცხადა—ჩვენ დამსწრეებმა გვიამბეს, რომ გვირგვინის მაგიერ მხოლოდ ლენტეხი იყო ღირებულნი არა უმეტეს ხუთი მანეთისაო; დანარჩენი ოცდახუთი მანეთი რაღა იქნაო?\*

თუმცა ამ საჩივრით მე თავის დროზედვე მოამართეს, მაგრამ მაშინ კიდევაც გამეზარდა და მიუგე: ალბათ პოეტის ნ. ბარათაშვილის ნაშთის გადმოსვენების დროს ბნ აკაცის მიერ წარმოთქმულ სამართლიან სიტყვას შესაუფრო ნაყოფი მოუტანია; და ლენტეხი ხომ თავის დანიშნულებას ასარულებს; დანარჩენ ფულს რედაქცია სხვა რამე კეთილ საქმეს მოახმაროს და მით უკეთეს ჩვენი ფული ორ ნაირ სასარგებლო საქმეს მოხმარდება-თქვა.

ეს იყო და ეს, მას შემდეგ თუმცა ბეჯითათ ვადღენებ თვალ-ყურს ქურნალ-გაზეთობას, მაგრამ არასად წამიკითხავს გვარგეიზზე გადარჩენილი ფულის ისტორია და ამიტომ სწორეთ აღარ ვიცო, რა პასუხი გავცე შემოხსენებულ პირთ.

ახლა უმოჩინოვებთ ვთხოვ ვაზეთ „ივერიის“ რედაქციას გამოაცხადოს (თუ თავის დროზე იყო გამოცხადებული და ჩვენ ვერ შევნიშნეთ, ხელმოკრეთ გვაუწყოს), თუ რას მოხმარდა ზემო აღნიშნული ფული, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასვენებ რედაქციას და ბოდიშ ვიხილ შეწუხებისათვის.

ს. დოლიძე

ბ. განჯა 31 ნოემბრისთვის.

„ივერია“ და მინისტრის მომხმარებელი



იღბანს ელოდა ქართველი საზოგადოება საჭურჭრეო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის მოსვლას და ამ ლოდინში, მეურნეობაზე გადარეული „ივერია“ სავსე იყო სასურველ იმედებით. იმ იმედებით, რამ მინისტრის მოსვლა შეეცლიდა ძირიანათ ჩვენის ქვეყნის მეურნეობას და ამითი ხალხს გააბედნიერებდა. საქმე რომ არ გაფაგებოლოთ, მოვიყვან აქ მხოლოდ ორ მოწინავე სტატიას, რომელიც „ივერიაში“ ხელმოწერული დასტავა და, როგორც ჩანს, თეთიონ „ივერიის“ რედაქციას ეკუთვნის. ეს სტატუები იმითი არიან სხეებზე უფრო საყურადღებონი, რომ რედაქციის აზრს და იმედებს სხეებზე უფრო ნათლათ და გარკვეით გვიხატენ.

აღსავსეა სურვილით, რომ საცა მიდის, იმ ქვეყნის ტყიელი შეიტყოს და წამალი მოუპოვოს\*, და ამასწინამდე, მის მოსვლას ჩვენ ქვეყანაში არ უნდა ჰქონდეს საგათ მარტო გვილა-გამოვლა აქა-იქ და მერე წასვლა მარტო იმ აზრით, რომ თქვას, ლამაზი ქვეყანა ყოფილაო\*. მაგრამ მეორის მხრე მინისტრის ჩვენი იღბანს ვერ დარჩება და აქვე-ლა, კაცმა იფიქროს, რომ ამ მოკლე ხანში მან შეიტყოს იგი არსებითი ვითარება ქვეყნისა, რომლის ცოდნა აუტოლებელ საქიროებას შეადგენს რაიმე რიგიან დღედგენილებისათვის და ნაყოფის მიმცემ ცუდილებებისათვის\*—ა. ამის გამო, იმავე აეტორის აზრით, ჩვენ თეთიონ უნდა ეცადოთ ეწმელოთ მინისტრის ჩვენი ქვეყნის\* ვითარების გამოკვევა და ეუჩვენოთ გზა გაჭირებისაგან ხსნისა.

ეს ქვეყნის ვითარება და გაჭირებისაგან ხსნა, როგორც მეორე მოწინავე სტატია\* მოვეთხორობს, მდგომარეობას შემდეგში: ჩვენი ქვეყანა მდიდარია ბუნებით და აქაურ ჰავასა და ნოყიერ მიწაზე მოდის ბევრი იმისთანა შრომისა და მიწის ნაყოფი:

\* „ივერია“ 1894 წ. № 188.

\*\* „ივერია“ 1894 წ. № 200.

რომლებსაც დიდი ფასი აქვთ, როგორც შინაურს, ისე სხვა ქვეყნის ბაზრებში. ამ ძვირფას ნაყოფთა წარმოებაზე უნდა გადავიდეს ჩვენი მეურნეობა, ნაკლებათ ახლანდელი იაფი ფასის ნაყოფთა წარმოებისა. ავტორი შემოსენებული სტატიისა გვასწავლის: „სადე ჩაი, სორგო, ალისარჩული, აბრეშუმი მოდის, საცა ბამბა ზარობს, საცა ყოველდღეობა ხეხილა შესაძლებელი, საცა ყურძენი მოდის, ლენოა ღვება, საცა შესაძლოა გაჩენა თათქმის ყოველდღეობაზე, სამღებრო და სააფთქო მცენარეებისა, იქ მიწისა და ხელის მოცდენა იმისთანა ფას-მოკლე (არა მგონია, რომ „ფას-მოკლე“ ქართული იყოს) ქირახელისთვის, როგორც, მაკალითებრ, პურია, ჩვენი ფიქროთ, დიდი მერცხოა“. პურის მოყვანა ავტორის აზრით, საჭირო იყო უფინ, როცა შეუძლებელი იყო სხვა ქვეყნებიდან შემოტანა. ახლა კი, როცა გზები გაგეხსნა, უნდა მოვიყვანოთ ძვირფასი ჩაი, სორგო, სააფთქო მცენარეები და სხვა...“

შემდეგ „ივერია“ იმევე სტატიაში გვიცხადებს: „ბ-ნი მინისტრი მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მობძანდება აქ ქვეყნის ვითარების შესატყობათ და მეტათ სანატრელია, რომ ჩვენს უფრო მცოდნე კაცთა ეს განსხვავებული გარემოება ჩვენის ქვეყნისა უფრო მეტის საბოლოო წარუდგინოს და იმის საშეგლის სარჩიელი გამოურყვიოს. აქაური სამეურნეო საზოგადოება როგორც სჩანს, იმის განაჩენიდან, ჩვენდა სასიამოვნოთ ამ საშეგლის სარჩიელზე დამდგარა“.

კაცს ვერ ვაუთვია: მინისტრმა უნდა წარუდგინოს და გამოურყვიოს მცოდნე კაცთა, თუ მცოდნე კაცებმა უნდა წარუდგინონ და გამოურყვიონ მინისტრს ეს ქვეყნის ვითარება“ და „საშეგლის სარჩიელი? ერთი მხრით მრავლობითი რიცხვი საგნებისა წარუდგინოს და გამოურყვიოს გვიჩვენებს, რომ თვითონ მინისტრმა უნდა წარუდგინოს და გამოურყვიოს. მეორე მხრით „ივერია“ არ ჰქონია, იმედი, რომ მინისტრს, თავისი აქ მოკლე ხნით ყოფნის დროს, გვეცნო ჩვენი ქვეყანა; მაშასადამე ვერც არავის რას წარუდგენდა და ვერც არავის-რას გამოურყვედა. ამას კიდევ ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ როგორც „ივერია“ გვაუწყებს, სამეურნეო საზოგადოებაც „ივერისავე“ გამოარკვეულ აზრს დადგომია, და აქედან ჩანს, რომ სამეურნეო საზოგადოების მცოდნე კაცებს უნდა წარუდგინათ და გამოურყვიათ მინისტრისთვის, რადგან ისინი კიდევ დადგომიან გამოარკვეულ აზრს.

ასეთს ერის ზობიძისა და ვაუგებრობას კიდევ ჯანი ვაერადეს. აქ საქმე ის არის, რომ ჩვენმა გლეხ-კაცობამ არ იცის, რომელი სააფთქო და სამღებ-

რო ძვირფასი, უცხო ქვეყნებში ბაზრის მქონე, მცენარეები მოდის იმის, ღვთისაგან დალოცული, მიწაზე და თუ ვაგზეთი „ივერია“, ან სამეურნეო საზოგადოება ასწავლის მას ამ ძვირფასი მცენარეების მოყვანას, ორივე ხელებით მოექიდებოდა, როგორც ქართველის ვლემის ბუნებით ნიჭსა და გონების სიმკვირტულეს ეიცობათ, მალეც შეისწავლის იმათ კულტურას, თუ კი მართლა ეს იმათთვის სასარგებლო იქნება, მაგრამ ჯერ იმისთვის არა უფინებიათ რა და არც უცდიათ, რომელი ძვირფასი მცენარე მოდის ჩვენში, რომ იმათ წარმოებას მიჰყოს ხელი და პურის წარმოებას თავი დაანებოს. ჯერ უნდა „ივერისაგან“ აღნიშნულმა მცოდნე კაცებმა სცადონ, ხარობენ საქართველოს მიღარ ბუნებაში ეს ძვირფასი მცენარეები? და თუ გამოცდებოდა დაარწმუნებს, რომ შეიძლება აქ იმათ მოყვანა, მაშინ უნდა წარმოუდგინონ და მაშინ უნდა გამოურყვიონ.

მინისტრი ნასწავლი მეურნეა, მაგრამ ჩვენს სამეურნეო საზოგადოებაშიაც არიან მეურნეობის კარგათ მცოდნენი. ესენი ჩვენი ქვეყნის ბუნებასაც უფრო იცნობენ და თუ სამეურნეო რჩევა დაეძვირდება რამე, ესენი არსად წაველიერენ. მინისტრთან კი ჩვენ სხვა საქმე და სხვა სათხოვარი გვექმნა.

„ივერია“ რედაქციამ კარგათ იცის და ამ ორი წლის წინათ თვითონ გვაძლევდა ცნობებს იმ გაჭირებულ მდგომარეობაზე, რომელშიაც იმყოფება ქართლის და იმერეთის გლეხკაცობა უმიწობის გამო. ბევრს გლეხკაცს მართა დლიურხანგერის მიწა აქეს ნადლათ, ბევრს მართა ერთი დლიურისა, და ბევრნი არიან ისეთნი, რომლებსაც, არც ნადლათ აქეს მიწა და არც საკუთრებათ. ქართლში გლეხკაცობა, რომელსაც არა ჰქონიათ თავის ნადლახზე მოყვანილი პური, იძულებულია მემამულე თავდაზნაურობას მიმართოს და იმათგან აიღოს მიწები სამეოთხედოთ ე. ი. მეოთხედი წმინდა შემოსავლიდან მათულის პატრონისა და დნარჩენი გლეხისა. ამ საწოთხედოთ, მიწების გაცემის დროს მემამულენი, თუმცა ძალიან იშვიათათ არღვევენ ხალხისაგან დაღებულ ადამს და პურათ (მეოთხედო მართა პურხეა ადამათ დაღებული, სხვა ქირახელისათვის სხვა ადამათ) მეოთხედზე მეტს აღარ ათმევენ, მაგრამ მიწის მუშტრები ისე ბევრნი არიან და, მიწა ისე ცოტაა, რომ გლეხკაცები პურის მეოთხედს ფულს უმატებენ. მაკალითათ დლიურხე ორ-სამ მანეთს და კიდევ ძლიერსაც უგზავნიან. მთელ დლიურხე საშუალო მოსავალი რომ ეიანგარნიშოთ, შეიღო კოდრი მთვა. აქედან ჯერ კიდევ ნახევარს თესლს უნდა გამოვიღოთ, მერე მეოთხედს მთელი შეიღი კოდისა და თუ სახეში მივიღებთ, რომ

კოდი სულ ოთხი ფუთია, მაშინ დავინახავთ, რომ გლეხკაცი თავის შრომას თითქმის მოქთათ იძლევა. — ასეთია მდგომარეობა გლეხკაცებისა, რომლებსაც თითო-ორი დღიური მიწა მიანიჭ აქეთ წადლათ და სულ უნადელო გლეხკაცების მდგომარეობა ხომ უფრო სამწუხაროა. ეს ქართლში, იმერეთში, როგორც გვესმის, უარესობაა. იქ სანახევროთაც ჭირს მიწის სამუშაოთ აღება. ამას გარდა იქ გლეხკაცების უმიწობას აწაუარობის უმიწობაც მოდევს.

ასეთია საქმის ნამდვილო გარემოება და „ივერიას“ კარგათ მოგვსენება, რომ ამ ქვეშაბრტების წინააღმდეგ ბევრი უმტკიცებენ უმაღლეს მთავრობას, რომ ჩვენ ქვეყანაში გლეხკაცობაში მიიღო კარგი ზომა მიწის მებატორანებისგან და რომლებმაც მებატორანებისგან ვერ მიიღეს, ისინი ხაზინის მიწებში კარგათ არიან დაკმაყოფილებულია“. რომ ხაზინას დარჩაო კიდევ ბევრი თავისუფალი ადგილები და

ურჩევენ ამ ადგილებზე სხვა ტომის ხალხის გადმო-სახლებას.

ასეთ გარემოებაში მწერლობისა და ხალხისათვის გულშემატიეიარი ყოველი მოღვაწის მოვალეობა იყო და კიდევაც არის, რადგან ჯერ კიდევ დრო დაკარგული არ არის, შეკრიბონ ცნობები, გამაურკიონ მინისტრს და დანარჩენ მთავრობას ეს სამწუხარო მდგომარეობა ჩვენი ხალხისა და ყველაზე უპირველესათ ითხოვონ, რომ შავი ზღვის პირათ და კადე სხვა ჩვენი ქვეყნის ადგილებში დარჩენილი თავისუფალი სახელმწიფო ადგილები, რომლებიც ქართველთ წინაპრებს ორი-ათასი წლის ბძიოლაში სისხლით მოურწყავთ და მტრისათვის არ დაუნებებიათ, დღეს იმათ უმიწა-წყლოთ დარჩენილ მემკიდრე შთამომავლობას უკანვე ჩააბარონ და ოჟლით მოარწყვევიონა.

ლ. მარეშაძე.

ა კ ა კ ი ს



გოსანო, გრძნობით დამკვრელო,  
 ჰანგზე მომხმელო ჰანგისა!..  
 კურთხეულ იყოს სიმები  
 შენი უკვდავი ჩანგისა.

კურთხეულ იყოს მარჯვენა  
 მათი უსუსტრათ მელერალი  
 და ცრემლით თქმული ტბილი ხმა  
 შენგან ზედ დანამღერალი!..

უმანკო მხარეს შობილო!  
 დიდებავ შენის ერისა,  
 მოყვარი წულულის მალამო  
 გულის გამპობო მტერისა!..

მე რა მრჯის შენსა ხსენებას  
 ცოდვილს, უბრალო მომაკედავს,

უმინზოთ მავალს ამ ქვეყნათ,  
 ვინ ვერ გავარჩევთ თეთრს და შავს!..

ამის გამოა, რომ შეეკრთი,  
 შეეჩერდი, კლამს უშვებ ხელს!..  
 აწ საიდუმლით მკედარ გულში,  
 ვადიდებ მარად შენს სახელს!..

თორემ მინდოდა სულ მეთქვა  
 პირადა, რაც მაქვს გულშია,  
 რომ მსურის მონათ შენ გაზღვე  
 ჭირსა და სიხარულშია!..

შემინდევ ეს თქმა, ნუ დამგმობ!  
 შენი სამშობლოს შეილი ვარ  
 და მისთვის ხომ მეც ჩემ წილათ  
 ბევრ გზის ცრემლ-დადენილი ვარ!..

რუს-იპერელი

9 ოკტომბერი 1894 წ.

მცირე შენიშვნა.



იდექ ქუთაისის თეატრზე ეთქვათ. ჩემი უფრო-ით, ყველასათვის სასიამოვნო უნდა იყოს, რომ ქართველებს იმდენათ გეოგრაფია საჭიროება ჩვენი სტენისა, რომ ამ მოკლე ხანში, ქუთაისის თე-

ატრის დაწვის გამო ასეთი ლაპარაკი აუტყებთ. ყვე-ლა ვგრძნობთ მისს საჭიროებას, ყველას ვესურს მისი წარმატება და ყველას თითქო უთეატრობა გვეჩოთივება, თვალში გვეჩხირება. ვიმეორებ, ეს სასიამოვნოა ყველა გონიერ ქართველისათვის და ამაზე აღარ გავაგრძელებ საუბარს; მე მხოლოთ მინდა, რომ ერთი მცირე რამ შეგინებო იმ წერი-

ლებს აეტორებს, რომლებმაც გამოთქვეს თავი-  
ანთი აზრი „კვალის“ № 44. ბ.ბ. ქუთათურმა და  
ს.მ. მათი აზრი გრძობიერათ წარმოთქმული, რა-  
საკერიველია, შესწავრებელია და ჩვენი სტენის ყვე-  
ლა გულ-შემატყეართათვის მოსაწონი, მაგრამ ცო-  
ტა არ იყოს, დალოცვილებს მეტათ ხელ-გაშლით  
მოუწოდებიათ საქმის გაკეთება. რაც, რასაკვირვე-  
ლია, მოსაწონია, მაგრამ თანვე ამ დროებით, ცო-  
ტა არ იყოს, შეუძლებელია და მიზნის ვერც მალე  
ვერ მიმღწევი. ჩემი ფიქრით, თუ კი გვაქვს საშუა-  
ლება და მოხერხება, რაც შეგვეძლება, უფრო იო-  
ლათაღ გვაკეთოთ საქმე, ის გვაჯობინება. (ქართვე-  
ლებს მაინც ხომ, ზოგი იოლი საქმე უფრო კარგათ  
მოგვიცხადებს). მაგალითათ ბ. ქუთათური ბრძანებს:  
„ქუთათის ქალაქმა იკისროს თავის თავზე თეატრის  
აშენება (ძლიერ შეენიერო აზრია!) და იმ 8000 მა-  
ნეთით, რომელსაც ახლა იგი დამზღვევი საზოგადო-  
ებებიდან აიღებს დამწეარ თეატრის გამო, დაიწყოს  
ახალი თეატრის შენობა, რაიც მოათავოს სათავად-  
აზნაურო ბანკიდან ნასესხებ 12,000 მანეთითო,  
ასე რომ 20,000 მან. კარგი და დიდი გაკეთდებოდ.  
მერე კიდევ ურჩევს ქალაქის საბჭოს, რომ სათეა-  
ტროთ სამეფო სახლი რომ იდგა, ის გამოიყენეთო,  
რადგან ის ადგილი მე საუკუნეთ მიმანიაო“. კე-  
თილი და პატიოსანი, მაგრამ ერთი ესა ვთქვათ:  
ეს ნასესხები 12,000 მან. როდის იქნება ამოგებუ-  
ლი? თუმცა ბ. ქუთათური გეარწმუნებს, რომ თუ  
საქმეს რიგანი მოთავე დაურჩა, თეატრის მერენდ-  
ელი შემოსავალი სრულიათ გაისტუმრებსო. მე მგო-  
ნია, ეს შორი აშაგია და ამ გვარი კომბინაცია ქუ-  
თათურებს მართლა, რომ ბევრ ხანს დაგეტოვებს  
უთეატროთ. ამას, რასაკვირველია, არც ბ. ქუთა-  
თური ისტრეებს და ვე კი ასე იქნება, თუ მის რჩე-  
ვას დაყვენი.

მე მგონია, უფრო მალე შესასრულებელი,  
უფრო ადგილი მოსახერხებელი ის იქნება,  
რომ ქალაქის საბჭომ ბ. ხარაზოვისაგან გამოისყი-  
დოს ის შენობა, რომელსაც ბ. ს.ს თქმის არ იყოსო  
მის წერილში: „ოთხი უხვირო კედლების მეტი არა  
აშადია რა სათეატროთ“ — ადგილი, როგორც გავგი-  
გონია, ქალაქს უნდა ეკუთვნოდეს, — და იმ 8,000  
მანეთით გადააკეთონ მართლა სუფთათ და კობტა

თეატრათ. შენობის შესყიდვა კი ბ. ხარაზოვისაგან  
არ მგონია 1000 მანეთამდინ ავიდეს, ასე რომ ქა-  
ლაქს იმის გადაკეთებისთვის არც ვალი დაჭირდება  
და არც ეახში. ჩემი ფიქრით 8,000 მან. სრულე-  
ბით შეცვლის ახლანდელს, მართლაც რომ ჩამო-  
ფხაკებულს შენობას ხარაზოვისას და ქალაქს ძლი-  
ერ მალე კობტა თეატრი ხელთ ექნება. მერე კიდევ  
ადგილიც მეტათ მარჯვე ადგილია, თვით უშაგული  
ქალაქისა, და არა სამებარი საღაც განაპირი, რასაც  
რასაკვირველია, კომერციული მხრით კიდევ დიდი  
მნიშვნელობა აქვს. ვთქვათ, თუ გნებავსთ, რომ  
არ ეყო 8,000 მანეთი გადაკეთებას, მაშინ 4000 —  
რასაკვირველია, სესხი დაუმატოთ და მე დარწმუნე-  
ბული ვარ (ეიტყვი ბ. ქუთათურსავეთ), რომ ახა-  
ლი გადაკეთებული სათეატრო შენობა იქნება ერთი  
ორათ უფრო დიდი და უკეთესი მოწყობილიც, ვი-  
დრე იყო ის შენობა, რომელიც გადაწვა. აქვე  
უნდა შევნიშო კიდევ, რომ ჩემი ფიქრით 4,000  
მან. უფრო ადგილი ამოსაგებიც და უფრო ადგილი  
გადასახდელიც არის, ვინც 12,000, რომელიც,  
ვინ იცის, რამდენი ხნის განმავლობაში დაწევა  
მიძიმე უღლათ ქალაქის კისერს.

რაც შეეხება ბ. ს. — აზრს, რომ ხელის მოწე-  
რა გაემართოთ და ქალაქის დახმარებით ერთათ გა-  
კეთოთ თეატრიო, მე მგონია, რომ ეს მეტი ბა-  
რგის მოკიდება იქნება ისეთაც სუსტს, ნიეთიერი  
მხრით, ჩვენი ქვეყნის წელზე. მართალია, ქართვე-  
ლები მეტათ გულ-უხვი ხალხი ვართ და შეიძლება  
ჩვენი წელილი არ დავიშუროთ, ასე ვთქვათ, საერ-  
თო საქმისათვის, მაგრამ უნდა გამოეტყდეთ, რომ  
ამ ხელის მოწერით და შეწირულებით ჯერ-ჯერო-  
ბით ბევრი არა გამომდარა რა, მხოლოთ აქა-იქ  
თუ შეეგაროვეთ და ისიც კიდევ იმდენი ვერა, რომ  
მოთხოვნილება მიზნისა დაგვეკმაყოფილებინა, ასე  
რომ ამაშიაც კიდევ იმდენი იმედო არ უნდა გეკო-  
ნდეს, რომ თეატრის ასაშენებელი თანხა შეგვედგეს.  
ესეც შორი აშაგია და არ ვიცი თუ ამ ორივე  
ავტორებს რათ უნდათ საქმის ესრე დაშორება და  
გაქიანურება, როდესაც თვითონვე გაიძახიან მაგ.  
ბანი ქუთათური: „ახალი თეატრის შენობა უნდა  
აშენდეს და უნდა აშენდეს უტყველათ სულ  
მალეო“.

## ვ ა რ ტ ა ნ ი

(მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა).

შემდეგი \*)

VI



ეტაი, ნენაე, შენ და ბაზიდას უწინ ფეხი მოატეხობდათ, სანამდი ჯერანის საცოლოს გამოწახავდით! — ეუბნებოდა ერთ უქმე დღეს ეკლესიიდან დაბრუნებულ ი ელისაბედ თავის დედას. — გამოვიდენ ახალ-მოყვანილი ქალები, მარა რა გამოვიდენ! იმისთანაი თვალ-ტანადი, რომ მეტი არ იქნება! შეეხვედ ჩემს რძალს, მიწა გამისკტა... დგანა ავი შევირიოზაი! შინ ქეა კდე რაცხა, აი, მიწა გასახეთქი. იქინეი რომ გვერთა ქალებში, აღარც თვალადობა უფერვოდა და აღარც ტანადობა! ოსი-კელასი ცოლათ ყოფილმა თამარამ იციოხა: ეინ არისო და რომ შეიტყო, მე ჩამიფურულა ყურში: რამ დაეციეა ყველას თვლი, აი, რა ჯერანის საკადრისიათ! თინეის ბიჭი, მსიკელია, ჯერანის ფეხთა-მტერთათ არ ღირს, მარა მის ცოლს დღეს მთელი საღატარი ყმზერდა. რომ იდგა ქალებში ჯი-ღასავით, კურცხალი მიამადგა თვალბეზე — ავი რეიზა ჩენი რძალი არ არის — მეთქი. თინეის ბიჭს თუ კი მიცეს იმისთანა ქალი, ჯერანს ვინ დუღუყავება! მარა წადით ორი გამოყურებული მოღაზონი, ნახეთ, აი, შევირიოზი და ე კი გვეგანენ.

— მე არა, მამიდა შენს რეიზა არ დუღუდა უწინ თვალბეი და მოტყუა ფეხი! იმას უნდა ცოდნოდა, იმ კისერ მოსატყეს, თუარა მე რა შუაში ვარ! ერთი გზობა ენახე და რა გასაკვირადია, მოეტყუენდი? — უპასუხა ქალიშვილს ხვარამზემ და ამოიოხრა, რადგანაც დანაშაულათ მიიანდა თავის თავი — რეიზა უყეთის ქალი, თინეის რძალი რომაა, ეთქვით, იმისთანაი არ მოეყვანიე ჯერანს\*..

ასე გასაყიდი საქონელივით ფასდებოდა ღიზა მას შემდეგ, რაც კი ტერეიძის ოჯახში შევიდა. ჯერ ახალ-მოყვანილი რომ იყო ღიზა, როგორც ეს ჩვეულებათ აქეთ სოფელში, დადიოდენ მის სანახავათ ჯერანის ნათესავები და მეზობლები, მეტადრე ქალები. ამათ წინდაწინე შეტყობილი ჰქონდათ ჯერან ცოლს წურბასო. ამიტომ წინდაწინე შეედენათ აზრი, ეგლახა ქალი უნდა იყოს ჯერანის ცოლიო\*, ქერეტდენ ღიზას და იპრუფენდენ ტუჩებს აღმა: „მართალი ყოფილა, შენიქირიმე, იგი ბიჭი, მოტყუებულა“.. — ეინც ნამეტარს მინ-

დომებს, იმას ყოველითვის ვარესი შეხებება“.. — ნიშნის მოგებით ამბობდენ ჯერანზე ერთმანეთში საიდუმლოთ ზოგიერთები. ჯერანის მეზობლებში ერთი კი ერთი-ორი ისეთი პირიკი, რომელსაც, როცა კარგა დაუყვირდა მის საქციელს, ლაპარაკს, მიხერამოხერასს, ღიზა ძლიერ მოწონდა. მეტადრე ძლიერ აქებდა ღიზას ერთი ჯერანის მეზობელი მოხუცი ქალი, თეკლე. — მოგიტე, თუ ჯერანის ცოლი ბეერით არ ჯობდეს იმ ქალებს, სახტარზე რომ ჯიღასავით იჯვამებია და შინ რომ ნახა სადეთ, ტყემლათ არ ღირს არცეთი. ავი სხვანაირი ყუნჩი ქალია. უწინ არ გეტყვენბა კი, მარა მერე რომ დუღუკერდები და დუღუკერდები, თანდათან უყეთესთა გეტყვენბა თვალში. სხვაი სხვაია, რაცხა იმისთანაი საყვარელია, რომ ამის გულიზა მოეტყე, გული არ მიშლისო, იტყვი, როცა კარქა გეცნობაო“. — ეუბნებოდა თეკლე ერთჯელ თავის მეუღლეს.

ჯერანს ხომ თარიბიდანე არ მოწონდა თავისი ცოლი. მართალია, ის დარწმუნდა, რომ ღიზა სრულიადე არ იყო ისეთი მახინჯი, როგორც მას ნიშნობის ღამეს ეჩვენა. მაგრამ ერთხელ გატეხილი გული თავის მეუღლეზე მიაწე აღარ მთედლებოდა. ის დარწმუნებული იყო, რომ თითქო ის მოხერხებულათ გააბა ზლიკამ მახეში. სხვათა შორის ღიზას მშითეთიაც არ იყო ჯერან მკაყოფილი. ერთი იაუ-უასიანი ნიხი, ერთი ვარდაგი, ერთი სპილენძის ქეხი, ერთი მწიფე ზანდუკი და ერთი ხელი ლოგინის წყობილება, — აი ეს იყო სულ ღიზას მშითეი. ჯერან შეხედადე თავისი ცოლის ღაზობ მშითეეს და მწარე დაკინეთ ეტყოდა ცოლს: „რა ბერძენაი მამა გუყეს, რა მშითი მოგცა! მარტო ზანდუკი ღირს ერთ ბედაურ ცხენათ!“

ღიზა, როგორც ახალმოყვანილი ქალი, ურიგობათ თელიდა ხმის ამოღებას, თუმცაღა ქი გულზე ტენდა ეს მწარე დატინეა. ჯერან განავრძობდა:

— მარა შენისთანა მზის უნახავს რათ უნდოდა მშითი! მაინც ვეგასაღა მამაშენმა. ახლა ჯერან დედას მიუბრუნდებოდა:

— დღანას ეცემა ნენამ და ბოლოს მიაგნო, რა ვარც იყო ამ მზის უნახავს.

— კაი ახლა, ყოველითერი ბედის საქმეა. ახლა რომ იწუნო გამოგიცლიან თუ! აღობთ ავი ყოფილა შენი ბედი! — უპასუხებდა შვილს დედა.

— შენ რომ დაბერდა და თვალბემა გიმტყუნოს, აქანაი ბედი რა შეაშა! გესლიანათ მიუგებდა ჯერან დედას.

— ცოთა ბედის მონახერეგო, იტყვიან. მარა ახლა რალა დროისა; — ჩაერვოდა ელისაბედიც ლაპარაკში.

\*) ისევე კვლი № 45

ოსმალეთის მთავრობისაგან სომხის ეროვნული კონსტიტუციის დამტკიცება 1863 წელს.

«არ თუ წესდებას დაჯერ კრის სივრცელს, არამედ კრის სივრცელს დაჯერს წეს-დებას».  
რაფიცი.

**მ**ეთუნის ბრძოლას შემდეგ ოსმალეთის სომხებმა ხელახლა მოიკრიეს კონსტიტუცია. ნამეტნავათ ერთმა შემთხვევაში უფრო ადვილად სომხები და შეავალიანა კიდევ გეგმვებშით მთქრისთვის უკვე შედგენილი კონსტიტუცია (ს. რო გამგობის წესდება) დაგვიტკიცეთო.

ეს შემთხვევა იყო შემდეგი: იმ ვაით გამონ-და ერთი კაცი თავადი დაქსინანი, რომელმაც თავის სურათთან ერთად ლიტოგრაფიული დაბეჭდილი განცხადება დაარია სომხებში. ის უცხადებდა ხალხს, რომ თვით ლეონ VI სომხის მეფის გერტომი-დან \*) ვართ. მე ვართ მონათესავე ინგლისის დედოფლის ექტორიასი, ვიყავიო ამერიკაში, სადაც დიდი ფული შევიძინე, და აქლა მეგობარი ვართ ნაპოლეონ III-ის საფრანგეთის იმპერატორისაო.

იმა ასეთი განცხადებით ოსმალეთის სომხები ჰიიზიდა თავისკენ და შეავალიანა კიდევ. სომხებში ატყდა მოძრაობა. გამართეს რამდენჯერმე კრებები. ულთანის ყურამდისაც მიაწვედეს, რომ კონსტიტუცია დაგვიტკიცეთო.

ოსმალეთის მთავრობამ რა ნახა ზეთუნის შეხვევა, თავადი ლეონიანის სურათი, ლიტოგრაფიულად განცხადება და ნამეტნავათ სომხებისგან იმპერატორი ნაპოლეონ მე-III-სთან დღევგატს გაგზავნა, ავა და ღრმა საფიქრებელში: ექვი აღეძრა, ვი თუ იმხებმა ნაპოლეონ მე-III მოიშველონო და საჩქაროდ დაამტკიცა 1863 წ. სომხების კონსტიტუცია.

ჩვენ როგორ შეგვიძლია გამოვხატოთ აქ ის სიპარული, რომელიც ოსმალეთის სომხებში აღიძრა, ნამეტნავათ ახალგაზდობაში. ოჯახში, საზოგადო ასპარეზზე, შინ და გარეთ დღე-ღამე სულ კონსტიტუციაზე ჰქონდათ სჯა-ბაასი, ჟურნალ-გაზეთებიც აღდროს მხოლოდ ამითი იყვენ გატაცებულნი; მიართეს დიდი წვეულებები კონსტიტუციის საპატიოთ და ესრეთ მ დღის განმავლობაში განუწყვეტლივ მთელი სომხის უბანი ჩირალდნით იყო განათებულ-

ლი და თოფების სროლა არ შემწყდარა მთელ კონსტანტინეპოლში.

მაგრამ სამწუხაროთ უნდა ვთქვათ, რომ კონსტიტუციის დამტკიცებას შემდეგ არ გასულა ორი წელიწადი, რომ ატყდა სომხის დეპუტატებსშორის განხეთქილება, ბრძოლა, პარტიობა და ალაქათი. სომხის ეროვნული კრება ბრძოლის ასპარეზზე შეიქმნა; ოსმალეთის მთავრობას ეწყინა ეს ამაგი და 1866 წ. გააჩერებინა კონსტიტუცია. ეს უბედურება ძალიან იწყინეს სომხებმა. ისინი აღელდნენ პოლოს პატრიარქზე, რადგანაც იმან ვერ შეიძლო სკლთანთან შუამდგომლობა კონსტიტუციის დაფარებათვის. საქმემ იქამდე მიაწია, რომ გვარი ითხოვდა პოლოსის უარის ყოფნას პატრიარქობაზე. იმანაც ასარულია ვრის წადილი. ოსმალეთის მთავრობა, ხალხის დასაწოშმანებლათ, დაპირდა უკან დაბეჭდვება კონსტიტუცია და 1869 წ. კიდევ ასარულა თავისი პირობა, ე. ი. ხელახლათ დამტკიცებული კონსტიტუცია უკანვე დაუბრუნა სომხებს. შეკრება ეროვნული საერთო კრება და მკრიტიჩ ხიშიმინი ამოარჩიეს პატრიარქათ \*). ამან არა თუ დაიხსნა კონსტიტუცია განსაცდლისაგან, არამედ მასში შეიტანა რამდენიმე ცვლილება.

ხრიმინას კარავთ ჰქონდა შესწავლოლი კონსტიტუციის შინაარსი, მისი გული და სულა იმან ნახა, რომ წესდებანი საგამებო მოსაქმეობა ახლანდელ სომხების მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს და მავას გარდა კონსტიტუცია მაშინ იქნება ერში კარავთ გავრცელებული, როდესაც ის ღრმად შეკავშირებული იქნება ერთათ და დააკმაყოფილებს მასს ყოველსავე მოთხოვნილებებს.

ამ მიზნით ხრიმინამ მოამზადა 13 მუხლათ შედგენილი პროგრამა, რომლითაც ის აესებდა კონსტიტუციის ყოველსავე ნაკულევენებას და წარუდგინა ეროვნულ საერთო კრებას, რომ განეხილა კონსტიტუცია და იმაში ცვლილება შეეტანა.

ხრიმინის პროგრამაში ყველაზე შესანიშნავი მეცამეტე მუხლი იყო, სადაც სხვათაშორის ეწერა: «უშალღეს ხვანთქარსა თხოვრო სომხის მღვდამარება, ქურთების ცარცვა-გლეჯისაგან დიფთარის და მისთვის უფრო მავარი ღონისძიება იხმაროს, აგრეთვე სომხების გადმოსახლება აკრძალულ იქმნას.

კონსტანტინეპოლში რამდენსავე სომხეს არ

\*) ლეონ VI სომხის უკანსენელი სკლიწიფე იყო, რომელიც წავდა საფრანკეთში და 1393 წ. იქ გზავნილებდა.

\*) ეს მკრტიჩ სრიპანი ახლად შექმნა სრულიათ სომხის კათალიკოსათ და ქეფოსს ქსიპინში. მისი ბიოგრაფია: ასიდე კეკელის № 36, 37, და 38 1893 წ.

